დაბადების თარიღი: 02.07. 1957

დაბადების ადგილი: ქ. ლანჩხუთი

Baramidse_g@yahoo.com

საცხოვრებელი ადგილი: თბილისი, გიორგი ბრწყინვალის 31/106

ტელ: 593 53 54 40

სამუშაო ადგილი: დროებით უმუშევარი

განათლება:

ივანე ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტი,

ფილოსოფიისა და ფსიქოლოგიის ფაკულტეტი 1975- 1980

ფილოსოფიურ მეცნიერებათა კანდიდატი 1985

ფილოსოფიურ მეცნიერებათა დოქტორი 1994

სამუშაო გამოცდილება:

ივანე ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტი:

ლაბორანტი 1979 – 1982

ასისტენტი 1983-1987

უფროსი მეცნიერ-მუშაკი 1987-1999

ფილოსოფიის თანამედროვე პრობლემათა შემსწავლელი

სამეცნიერო-კვლევითი ჯგუფის უფროსი 1995-1999

პროფესორი 2000--2012

ფილოსოფიურ მეცნიერებათა დარგში სამეცნიერო

ხარისხების მიმინიჭებელი სპეციალიზირებული საბჭოს თავმჯდომარე 2000-2005

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი:

პროფესორი 2013- 2016

საქართველოს პრეზიდენტის რეგიონული პოლიტიკისა

მართვის სასწავლო-კვლევითი ცენტრის ხელმძღვანელი 1996-1999

ძირითადი პუბლიკაციები:

ფანტაზია და მსოფლმხედველობა 1993

განცდა და პოეზია ვილჰელმ დილთაის შემოქმედებაში 2009

თანამედროვე ადამიანის ყოფნის ფენომენოლოგიურ-ჰერმენევტიკული ანალიტიკა 2009

ნეოპლატონიზმი თანამედროვეობის კონტექსტში 2009

„დიანოიას“ გაგების ზოგიერთი ასპექტის შესახებ 2010

ფილოსოფიის გაგება მამარდაშვილთან 2011

ცვალებადობა და პრეზენტაცია 2012

პლატონის ეპისტემოლოგიის ზოგიერთი ასპექტი „თეეტეტის“

მარსილიო ფიჩინოსეულ ინტერპრეტაციაში 2012

გრიგოლ რობაქიძის ჰერმენევტიკა 2010

ჰუმანიტარული ცოდნის ერთი ასპექტის შესახებ თანამედროვე

ეპოქაში 2009

განათლება და ეროვნული საკითხი 2010

ლინგვიტიკის მეტაფიზიკა დერიდასთან 2012

Epistemology and Humanism in Marsilio Fichino's Epitome 2011

On a new model of knowledge 2011

Nietzschean motives in Zurab Kakabadze's philosophical thinking 2014

Métaphysique de la linguistique chez Derrida 2012

General Aspects of Understanding "The Federalist" and Republicanism 2009

თარგმანები:

დასაბამი ხელოვნების ქმნილებისა (მარტინ ჰაიდეგერი) 1992

თემშარა(ჰაიდეგერი) 1992

პოლიტიკა როგორც მოწოდება და ხელობა(ვებერი) 1993

განსხვავება(ბურდიო) 2005

მოქმედების კომუნიკაციური თეორიის დამატებები(ჰაბერმასი) 2002

სეკურალიზაციის დიალექტიკა(ჰაბერმასი, რატცინგერი) 2010

ფედერალისტური წერილები(ჰამილტონი, ჯეი, მედისონი) 2007

თეეტეტის ანუ ცოდნის შესახებ(მარსილიო ფიჩინო) 2012

ნოვალისი(ჰერმან ჰესე) 1989

წმ. გრიგოლ პალამას პაექრობა ფილოსოფოს გრიგორასთან 2016

ჰუმანიზმის ეპისტემოლოგია 2010

კონფერენციები/პროექტები:

ქრიტიანული ეთიკა და თანამედროვეობა 2012

Philosophy in global change 2009

(Neo)Platonism and modernity 2009

Linguistique, Litérature, Didactique 2012

ფედერალისტი და სამოქალაქო განათლების პრობლემები

საქართველოში 2007

უცხოური ენები:

ინგლისური, ფრანგული, რუსული, გერმანული თავისუფლად

ესპანური, იტალიური, ძველი ებრაული,

ძველი ბერძნული, ლათინური ვკითულობ, ვთარგმნი

კომპიუტერული პროგრამები :

Ms- Windows

Ms-Word

გიორგი ბარამიძე

უნივერსიტეტის განვითარების სამოქმედო გეგმა და კონცეფცია

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დაფუძნება საქართველოს ეროვნულ-საელმწიფოებრივ დამოუკიდებლობას უკავშირდება, რაც განსაზღვრავს კიდეც მის განსაკუთრებულ მნიშვნელობას.

ცხადია, რომ უნივერსიტეტის დაკნინებისა და დაცემის ტენდენცია ეროვნული საეხლმწიფოს დაკნინებისა და დაცემის ტენდენციას გამოხატავს.

უნივერსიტეტი არის ისეთი როგორიც ის არის; იგი ხან დგას მოწოდების სიმაღლზე, ხან ვერ ახერხებს იყოს ისეთი როგორიც უნდა იყოს თავისი იდეის მიხედვით. ამას აქვს როგორც ობიექტური ისე- ბევრად უფრო მეტად - სუბიექტური საფუძვლები; ამიტომ აუცილებლია მოხდეს აკადემიური ოპერაციების დესუბიექტივაცია;

წინა პოლიტიკური რეჟიმის პირობებში უნივერსიტეტში ერთმანეთს შეერწყა კორუმპირებული სახელმწიფო ხელისუფლება და უნივერსიტეტის ადმინისტრაცია. ამან გამოიწვია ძირეული ცვლილება უნივერსიტეტის სტრუქტურაში; იგი აღარ არის სტუდენტებისა და პროფესორების ერთობა.

რაც შეეეხება უკანასკნელ პერიოდს, უნივერიტეტი იქცა წინა კორუმპირებული ხელისუფლლების, მისი მიკერძოებული, უსამრთლო სასამართლოებისა და უნივერსიტეტის ასვვე აკადემიურად კორუმპირებული ადმინისტრაციის გადაწყვეტილებათა მძევლად;

მეორე მხრივ, ბოლო წლების განმავლობაში თსუ-ში განხორციელდა სტრუქტურული ცვლილებები:

სტრუქტურულად იგი დაემგვანა თანამედროვე უნივერსიტეტს, მაგრამ უნივერსიტეტი როგორც ოპერაციული სისტემა არ მუშაობს, არ აწარმოებს ცოდნას, არ ფუნქციონირებს აკადემიური კომუნიკაციის მექანიზმი ე.ი. არ ხდება ცოდნის გადაცემა;

ინსტიტუციური სული, რამაც ამ სტრუქტურების ანიმაცია უნდა მოახდინოს არის ფორმით დემოკრატიული, მაგრამ შინაარსით ფეოდალური;

უნივერსიტეტი უნდა იქცეს სტუდენტებისა და პროფესორების ერთობის ფორმად; ასევე - კვლევისა და სწავლების ერთიანობად. მისი მიზანია არა მარტო ის, რომ სტუდენტებს პროფესიული უნარჩვევები გამოუმუშაოს, არამედ - აღზარდოს განათლებული და თავისუფლად მოაზროვნე ადამიანები.

უნივერსიტეტი უნდა იყოს სამართლიანი დაწესებულება; სამართლიანობა უპრიანია, გვესმოდეს, არა როგორც აბსტრაქტული სიდიდე, არამედ როგორც პატიოსნება; უნივერსიტეტის კედლებში - როგორც აკადემიური პატიოსნება;

- უნივერსტეტი როგორც ჰუმანისტური ტრადიციის ნაყოფი გამუდმებით უნდა იღვწოდეს უნივერსალური ცოდნის მოპოვებისთვის
- არ უნდა იზღუდებოდეს არანაირი - მათ შორის - პოლიტიკური საზღვრებით.
- უნივრსიტეტის ადმინისტრაცია, მისი მმართვლობა უნდა ემსახურებოდეს უნივერსიტეტის სტუდენტებს და პროფესორებს და არა პირიქით.
- საზოგადოებას არ სჭირდება უნივერსიტეტი როგორც ადმინისტრაციული მონსტრი.
- საზოგადოებას არ სჭირდება ტოტალიტარული ტიპის რეპრესიული უნივერსიტეტი.

- პროფესორის ანაზღაურება საგრძნობლად უნდა გაიზარდოს. უნდა დამთავრდეს ის მდგომარეობა როცა უნივერსიტეტის ბიუჯეტის ზრდა არ აისახება ხელფასის ზრდაზე.
- საუნივერიტეტო საზოადოებამ სტუდენტობის არსებითი მონაწილეობით მკაცრი კონტროლი უნდა დააწესოს უნივერსიტეტის ბიუჯეტის ხარჯვაზე.
- თითოეული თეთრი მიზანმიმართულად და გამჭვირვალედ უნდა იხარჯებოდეს მოლოდ მაღალეფექტურ კვლევასა და სწავლებაზე და მის უზრუნვლყოფასთან დაკავშირებულ ღონისძიებებზე.
- უნივერსიტეტში არ უნდა არსებობდეს პრივილიგირებული კასტა, რომელიც შეუზღუდავად სარგებლობს საბიუჯეტო სიკეთეებით.
- უნივერსიტეტი უნდა უზრუნველყოფდეს ყველა მომსახურებას სტუდენტებისა და პროფესორებისთვის, რომლებიც განსაზღვრულია თანამედროვე საერთაშორისო სტანდარტებით.

უნდა განხორციელდეს თსუ სტრუქტურული თვითგადატვირთვა, რაც ნიშნავს მის სისტემურ თვითგანახლებას, თვითრეფერენტულ და თვითეშემოქმედ ოპერაციულ სისტემად გარდაქმნას; უნდა მოხდეს აკადემიური პროგრამების კრიტიკული თვითშეფასება და ძირეული განახლება; - თსუ ყველა სიმძლავრის რემობილიზება;

დაუშვებლია უნივერსიტეტი თავისი საელმძღვანელოების თუ ნებისმიერი სხვა სასწალო საშუალების სახით სტუდენტებსა და საზოგადოებას ელაპარაკებოდეს სიძულვილის ენით;

პირველ ეტაპზევე როგორც ფორმით ისე შინაარსით დემოკრტიულად - გარე რეფერირებასა და საერთო საუნივერსიტეტო კონსენსუსისა და თსუ - ს თითოული წევრის კეთილი ნების საფუძველზე - ორგანიზებული კონკურსის გზით უნდა განხორციელდეს(თსუ საბიუჯეტო შესაძლებლობების გათვალისწინებით) მაღალვალიფიციური პროფესურის რეკრუტირება როგორც ქვეყნის შიგნიდან ისე საზღვარგარეთის სამეცნიერო ცეტრებიდან;

- დაუშვებელიია საფრთხე შეექმნას უნივერსიტეტის ავტონომიურობასა და პროფესურის აკადემიურ თავისუფლებას.
- აუცილებელია, უნივერსიტეტი დაუბრუნდეს მას, ვისაც ის ეკუთვნის: სტუდენტებსა და პროფესორებს, მათი საშუალებით კი - ქართველ ერს, საქართველოს მოქალაქეებსა და საერთაშორისო აკადემიურ საზოგადოებას.
- ამ მიზნის მისაღწევად აუცილებელია: უნივერსიტეტს ჰქონდეს ჭეშმარიტი ავტონომია, პროფესურას - აკადემიური თავისუფლება, სტუდენტს - საუნივერსიტეტო ინსტიტუციის სრულუფლებიანი წევრობა.
- უნივერსიტეტის ავტონომია არ ნიშნავს უპასუხისმგებლობას ანდა პარტიულლ პასუხისმგებლობას. იგი ანგარიშვალდებულია არა რომელიმე პარტიის თუ პოლიტიკური ძალის, არამედ მთლი საზოგადოების წინაშე.
- უზრუნველყოფილი იქნება როგორც ე.წ. გარეგანი დამოუკიდებლობა, როცა უნივერსიტეტი დამოუკიდებელია მაგ. სახელმწიფოსგან; ისე ე.წ. შინაგანი დამოუკიდებლობა, რაც გულისხმობს პროფესურის თავისუფლებას საუნივერსიტეტო ადმინისტრაციის სტრუქტურებისგან.

  უნდა დამთავრდეს ის მდგომარეობა, როცა პროფესორი იძულებულია ეჭიროს ადმინისტრაციული თანამდებობაც როგორც დამატებითი შემოსავლის წყარო. ეს ის მდგომარეობაა, როცა ეკონომიკური სარგებელი აკადემიუური კორუფციის საწინდრად გვევლინება.

  უნივერსიტეტი ღია იქნება ახალი დისციპლინებისა და სართაშორისოდ აღიარებული ყველა აკადემიური ინოვაციის მიმართ. შეიქნება ყველა პირობა იმისთვის, რომ პროფესორმა მთელი თავისი დრო მოახმაროს კვლევასა და სწავლებას.

  განხორცილდება უნივერსიტეტის რეალური დეცენტრალიზაცია, რაც გულისხმობს იმას რომ
- იგი არ შეასრულებს რომელიმე ცენტრის დირექტივებს;

- ფაკულტეტებს მიენიჭებათ მაქსიმალური - მათ შორის - ფინანსური დამოუკდებლობა საუნივერსიტეტო ცენტრისგან.
- გადაიხედება საფაკულტეტო მოწყობის სტრუქტურა და პრიორიტეტი მიენიჭეება ამგვარი მოწყობის შედეგზე გათვლილსა და მააღლეფექტურ ფორმას.
- უზრუნველყოფილი იქნება აკადემიური თავისუფლება როგორც ახალი საუნივერსიტეტო მოწყობის ქვაკუთხდი.
- ყველაფერი გაკეთდება იმისთვის,, რომ უნივერსიტეტში დამკვიდრდეს აკადემიური მიუკერძოებლობა როგორც უნივერსიტეტის სტაბილური განვითარების გარანტი;
- აღმოიფხვრება აკადემიური კორუფცია, რომლის საფუძველი სწორედ აკადემიური პერსონალის მნიშვნელლოვანი ნაწილისა და საუნივერსიტეტო სტრუქურების მიკერძოება, არაობიექტურობა, არაპროფესიონალიზმი და სათანადო კვვალიფიკაციის არქონაა;
- შეუძლებელი გახდება ის, რომ საუნივერსიტეტო სტრუქტურები - ასევე ე.წ. კონკურსები - აკადემიურადდ კორუმპირებულმა თუ სხვაგარად პრივილიგირებულმაა ჯგუფებმა თავიანთი კორუმპირებული მიზნების გასახორციებლად გამოიყენონ.
- ყოველივე ამით ნიადაგი გამოეცლება აკადემიურად კორუმპირებულ სქემებს, რომლებიც გათვლილია სტუდენტებისგან - და საბოლოო ჯამში - სახელმწიფოსა და მოქალაქეებისგან სახსრების გამოძალვაზე; როცა სტუდენტი სამართლიანად ითხოვს ხარისხიან განათლებას ნაცვლად ამისა კი უხარისხოსა და გაფუჭებულ პროდუქტს აჩეჩებენ.
- ნიადაგი გამოეცლება სტუდენტების დისკრიმინაციისა და პროფესურის რეპრესიის მექანიზმებს.
- განორციელდება ე.წ. ორმაგი გამოდიფერენცირების პროცესი, რაც გულისხმობს:
- უნივერსიტეტის როგორც ოპერციული სისტემის თვითგამიჯვნას თავისი ფიზიკური, ემპირიული გარემოდან
- უნივერსიტეტის როგორც ოპერაციული სისტემის თვითგგამიჯვნას თავისივე შიდაგარემოდან

ეს აუცილბელია, რათა არ მოხდეს უნივერსიტეტის როგორც სპეციფიკურ ოპერაციათა სისტემის გათქვეფა გარემოში, რაც შინაარსით ფეოდალური სტრუქტურების ჩამოყალიბების საფუძველია.

სწავლება და კვლევა

უნივერსიტეტი დაუბრკოლებლად შეასრულებს თავის ფუნქციას: განავითაროს ცოდნა ორიგინალური და კრიტიკული კვლევით. ასევე უზრუნველყოფს წარსულის მემკვიდრეობის გადაცემასა და უნარების დაუფლებას.

სწავლება დაემყარება ობიექტური ჭეშმარიტების დაუინტერესებულ ძიებას. ამ ძიებაში ჩათრთული ქნება სტუდენტობა.

არსებითად იქნება გათვალისწინებული კვლევის ორი მომენტი:

ინდივიდუალური კვლევა როგორც ინდივიდუალური პოფესორის საქმიანობის კომპონენტი, რომელიც ხელს უწყობს სწავლებას. სასწავლო კომპონენტთან ერთად დაფინანსდება პროფესორის მოღვაწეობის კვლევითი კომპონენტი.

- სპეციალიზებული კვლევა, რომლის უშუალო ამოცანაა სახელმწიფოს როგორც ინტელექტუალური ისე ეკონომიური სიმძლავრეების ზრდა. პრიორიტეტი მიენიჭება ფუნდამენტურ კვლევას, რომელიც ექსპერტების შეფასებით არ არის დაკავშირებული ძალზე დიდ დანახარჯებთან და განვითარებადი საზოგდოების უნივერსიტეტი შეძლებს მის გაწევას.
- ცოდნის სპონსორირებამ არ უნდა გამოიწვიოს ის მდგომარეობა, როცა ჰუმანიტარული მეცნიერებები ე.წ. უტილიტარულიი დარგების მძევლად იქცევიან.
- უნდა გავითვალისწინოთ თანამედროვე ე.წ. პოსტმოდერნული ეპოქის სპეციფიკა, როცა წაიშალა ზღვარი საბუნებისმეტყველო და ჰუმანიტარულ ცოდნას შორის; კვლევები და აღმოჩენები

ჰუმანიტარულ სფეროში არანაკლებ მნიშვნელოვანია, ვიდრე საბუნებიმეტყველო დარგებში განხორციელებული კვლევები და აღმოჩენები; ეს გარემოება აუცილებლად უნდა აისახოს უნივერსიტეტის კლევით პოლიტიკაზე, საბიუჯეტო სახსრების გადანაწილებაზე;;

- კველვით პროექტეში თანამშროლობა არ იქნება თანამშრომლობა თანამშრომლობის გულისთვის, რასაც ძალზე ხშირად მხოლოდ კულტურული ურთიერთობების სახე აქვს.
- პრიორიტეტი მიენიჭება ისეთ კვლევებს, რომლებიც მოფლიოს მოწინავე სამეცნიერო ცენტრებთან თანამშრომლობით ხორცილდეება და უნივვერსიტეტს საშულებას მისცემს:
- ჩაერთოს მაღალეფექტურ საერთაშორისო კვლევით პროექტებში;
- დააკმაყოფილოს მოწინავე უნივერსიტეტის ყველა საერთაშორისოდ აღიარებული კრიტერიუმი.
- თანამედროვე უნივერსიტეტი უნდა აკმაყოფილებდეს საშუალო კლასის მოთხოვნებს და უნდა იყოს არა ელიტური, არამედ მასური; ეს იმას ნიშნავს, რომ უნივერსიტეტი ანგარიშს უნდა უწევდეს ცოდნის მარკეტიზაციისა და მისი კომერციალიზაციის მოთხოვებს.

ჩვენ არ გვაქვს მდიდრული, ხლგაშლილი- „საყოველთაო კეთილდღეობის უნივერსიტეტის - ფუფუნება, მაგრამ ვერც იმას დავუშვბთ, რომ იგი კლანური თუ კასტური ფუფუნების ინტიტუციად იქცეს.

მაგრამ მეორე მხრივ, არსებითად იქნება გათვალისწინებული ის, რომ უნივერსიტეტს საქმე აქვს უნივერსალურ ცოდნასთან, რომელიც ვერ თავსდება საბაზრო და კომერციულ ჩარჩოებში. უნივერსიტეტი უმღლესსა და მარადიულ ღირებულებებს ემსახურება.

უნივერიტეტი გამოუშვებს არა ვიწრო პროფილის სპეციალისტებს, არამედ უნივერსალურ სწავლულებს; ისინი განწავლულნი იქნებიან არა მარტო პროფსიულ საგნებში, არამედ ხელოვნებებსა და ე.წ. წმინდა მეცნიერებებში, რომლებიც იმგვარად წვრთნიან გონებას, რომ მისი გამოყენება შესაძლებელი ხდება სხვადასხვა პროფესიების დასაუფლებლად.

უნივერსიტეტი უნდა ასწავლიდეს არა სინამდვილისგან მოწყვეტილ, ყავლგასულსა და აბსტრაქტულ თეორიებს(რასაც ძალზე ხშირად ე. წ. პროფესორების აბსოლუტურად არაკვალიფიციურ თავებში წარმოშობილი ბოდვების სახე აქვს), არამედ აზროვნების, სწავლების, აღმოჩენის, კვლევის, როგორც ე.წ. საბუნებისმეტყველო ისე ე.წ. ჰუმანიტარული ცოდნის წარმოების, მისი კვლაწარმოების, დისტრიბუციისა და პრომოუშენის ტექნიკას. ამ აზრით უნვერსიტეტი არის ტექნოლოგიური ოპერციების ერთობლიობა, რომელიც ადეკვატურად პასუხობს თანამედროვე ეპოქის რელევანტურ გამოწვევებს. ამ მხრივ უნივერსიტეტი არის პრაგმატული საგანმანათლებლო დაწესებულება.

ამ პროცესში სტუდენტი და პროფესორი არიან თანამშრომლები. სწორედ ამით განისაზღვრება სტუდენტის არსებითი როლი კვლევისა და სწავლების საუნივერსიტეტო მოწყობაში. ცოდნაში თანამშრომლობა ნიშნავს იმას, რომ ხდება სტუდენტსა და პროფესორს შორის როლების გაცვლა.

მაგრამ მეორე მხრივ, ასევე არსებითად იქნება გათვალისწინებული ის, რომ თანამედროვე ეპოქაში შეიცვალა ცოდნის სტატუსი, რაც უნივერსიტეტის სტატუსზეც აისახა. იგულისხმება როგორც ცოდნის მარკეტიზაცია ისე მისი პროფესიონალიზაცია.

ყვლასთვის ცხადი უნდა იყოს, რომ ინტელექტი მხოლოდ იმ შემთხვევაში შეიძლება იყოს კრეატიული, შემოქმდებითი ძალა, როცა იგი თავისუფალია. განუხრელად იქნება უზრუნველყოფილი აკადემიური თავისუფლება და ავტონომია.

- ინდივიდუალური სწავლული და მეცნიერი თავისუფალია ჭემარიტებათა ძიებაში. ასევე - სწავლებისა და მონაპოვრების გამოქვეყნებაში. უნივერსიტეტი დაცული იქნება რელიგიური და პოლიტიკური ჩარევებისგან.
- შეიქმნება ყველა პირობა იმისთვის, რომ პროფესორებმა რეალიზება უყონ თავიანთ უფლებას: იყონ აქტიური მოქალაქეები.

უნივერსიტეტი იქცევა საჯარო ინტელექტუალთა კერად. იგი ჩამოყალიბდება როგორც კრეატიული და დამოუკიდებელი საგანმანათლებლო ძალა.

უნივერსიტეტი გახდება ჭეშმარიტად თვითმმართველი ინსტიტუცია, რომელიც შეესაბამება პრულარისტულ საზოგადოებებში განსხვავებულობისა და თავისუფლების დაცვის საქმეს.

თანამედროვე პირობებში გაიზარდა ე.წ. მენეჯერიალიზმი აკადემიური თვითმმართველობის ხარჯზე. ამ მოვლენამ გამოიწვვია ის, რომ უნივერსიტეტი ზეგავლენას გნიცდის სხვადასხა ფონდების, მედიისა და სახელმწიფოს მხრიდან. ამან საფრთხე შეუქმნა უნივერსიტეტის ავტონომიას.

მეორე მხრივ, უტილიტალური ხედვა საფრთხეს უქმნის დაუინტერესებელი ინტელექტუალური კვლევის იდეალს.

უნივრსიტეტის იმიჯს აღარ განსაზღვრავს მის კედლებში დამოუკიდებლად ჩამოყალიბებული ცოდნისმოყვარეობბა, კრეატიულობა და ახალი საგნები.

ამ საფრთხების გათვალისწინებით უნივრსიტეტი განუხრელად დაიცავს შემდეგ პრინციპებს;

- ავტონომიურობას;
- კვლეევისა და სწავლების განუყოფლობას;
- კვლევისა და სწავლების თავისუფფლებას.

უნივერსიტეტის ავტონომია

ხშირად ლაპარაკია იმაზე, რომ უნივერსიტეტის ავტონომიას საფრთხეს უქმნის სახელმწიფო, მაგრამ ხშირადვე ავიწყდებათ, რომ უნივერსიტეტის ავტონომიას თავისუფალი ბაზარიც ზღუდავს. საქმე ის არის, რომ საბაზრო კრიტერიუმებს მხოლოდ ბაზარი ადგენს და არა უნივერსიტეტი. თუ უნივერსიტეტი საბაზრო პრიორიტეტებს ემსხაურება, მაშინ ის გარე, საბაზრო ძალებს უწევს ანგარიშს, რაც ზღუდავს მის ავტონომიას.

- თანამედროვე განვითარება იმაზე მიუთითებს, რომ უნივერიტეტის ავტონომიურობა ფარდობითია. სწორედ ამის დასტურია

საერთაშორისო კრიტერიუმები, სტანდარტები და კვლევის პრიორიტეტები.

- ავტონომია არ ნიშნავს იმას, რომ უნივერსიტეტი ოდიოზურმა ჯგუფებმა მოწყვიტონ დანარჩენ საზოგადოებას და დანაშაულებრივ ტყვეობაში ამყოფონ.
- აბსოლუტური დამოუკიდებლობა არ არსებობს, არც ერთი ინსტიტუცია - მათ შორის სახელმწიფოც - არ არის აბსოლუტურად დამოუკიდებელი.
- დამოუკიდებულობა ყოველთვის ნიშნავს ახლებურ დამოკიდებულებას.
- უნივერსიტეტის დამოუკიდებლობის მოდელია „დამოკიდებული დამოუკიდებლობა“.
- მთავარია სახელმწიფო იჩენდეს ე. წ. ჩაურევლობის ნებას, არ ერეოდეს უნივერსიტეტის შიდა საქმეებში და არ ზღუდავდეს მის თვითმმართველობას.
- უნივერსიტეტი უნდა იჩენდეს გონივრული ავტონომიურობის ნებას და იცავდეს ე.წ. კრიტიკულ დისტანციას როგორც სახელმწიფოს ისე ეკონომიკური ცენტრების და ზეგავლენის ყველა სხვა ინსტანციის მიმართ.

უნივრსიტეტი და სამოქალაქო საზოგადოება

- სამოქალაქო საზოგადოებას აქვს კრიტიკული ფუნქცია სახელმწიფოსა და ძალაუფლების სხვა ფორმების მიმართ.
- სამოქალაქო საზგადოება არ არის კრიტიკის უკანასკნელი ინსტანცია და ასეთი რამ არც არსებობს. ამის გარანტი კი სხვა არაფერია თუ არა უნივრსიტეტი, რომელიც აკრიტიკებს კრიტიკულ ცნობიერებას.
- სამოქალაქო საზოგადოება სვამს შეკითხვებს, უნივერსიტეტის ფუნქცია კი ის არის, რომ შეკითხვები დაუსვას თვითონ შემკითხველ ცნობიერებას.
- უნივერსიტეტში - ურიდიული, სოციალ - პოლიტიკური და ჰუმანიტარული ფაკულტების სახით - მუდმივად უნდა ხდებოდეს ადამიანისა და მისი უფლებების გააზრება .

- უნივერსიტეტი ეწინააღმდეგება ინტერპრეტაციებზე მონოპოლიების დამყარებას და ამით არ იძლვა მენტალური და სხვა სახის ძალადობრივი სტრუქტურების ჩამოყალიბების შესაძლებლობას.
- ***სტუდენტები***
- სტუედენტებს მიენიჭებათ მთავარი როლი ახალ საუნივერსიტეტო მოწყობაში.
- ჩვენ გვჭირდება ისეთი უნივერსიტეტი, რომელშიც სტუდენტი არსებით მონაწილეობას მიიღებს როგორც აკადემიური პროდუქტის ხარისხის უზრუნველყოფაში ისე ამ პროდუქტის მიმწოდებლის შეფსებაში .
- სტუდენტი არ არის უნივერსიტეტის დანამატი, იგი მისი არსებითი შემადგენელი ნაწილია და მის ყველა არსებით გადაწყვეტილებაში ასევე არსებითად მონაწილეობს როგორც სათათბირო ისე გადამწყვეტი ხმის უფლებით.
- მეორე მხრივ, სტუდენტები პასუხისმგებელნი არიან იმ სკითხების ფორმულირებასა და პოლიტიკაზე, რომლებიც ეხება სტუდენტურ ცხოვრებას, სერვისებსა და ინტერესებს. მათ უნდა ჰყავდეთ თავიანთი ფართო წარმომადენლობა და აქტიურად უნდა მონაწილეობდნენ უნივერსიტეტის მართვასა და საუნივერსიტეტო პოლიტიკის ჩამოყალიბებაში.
- აუცილებელია, უნივერსიეტეტმა ყველაფერი გააკეთოს იმისთვის, რომ სტუდენტობა უზრუნველყოს კლასიკური და თანამედროვე სამეცნიერო ლიტერატურის მაღალხარისხიანი თარგმანებით.

  გამომდინარე უნივერსიტეტის იდეიდან და განაკუთრებული მისიიდან, რომელიც მას ისტორიამ დააკისრა ივანე ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტს უნდა მიენიჭოს ეროვნული უნივერსიტეტის სტატუსი.